საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თევზაძე რევაზ ნიკოლოზის ძე

თევზაძე რევაზ ნიკოლოზის ძე (დ. 22. VI. 1931, ქუთაისი), გეოლოგი. საქართვ. დამს. ინჟინერი (1975) და დამს. მენავთობე (1981). სტუ-ის ნავთობისა და გაზის საბადოების ბურღვის კათედრის პროფესორი (1982). საქართვ. საინჟ. აკად. ნამდვ. წევრი, საქართვ. ეროვნ. ენერგეტიკის აკად. წევრი. 1955 დაამთავრა სპი (სტუ) სამთო ინჟინერ-მენავთობის სპეციალობით. მუშაობდა აზერბაიჯანში, 1958-იდან – „საქნახშირძიების" ტრესტის, ხოლო 1970-იდან – საქართვ. მინისტრთა საბჭოსთან არსებული გეოლ. სამმართველოს სისტემაში. იკვლევდა კვაისის ტყვია-თუთიისა და ერწოს ვერცხლისწყლის საბადოებს, ხელმძღვანელობდა საძიებო სამუშაოებს შაორის ქვანახშირის, მადნეულის პოლიმეტა-ლებისა და ბარიტის საბადოებზე და საქართვ. მეტალების კომპლ. ექსპედიციას.

თ-ის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით დაძიებულია საქართვ. მინერ. რესურსების სამრეწვ. მნიშვნელობის მრავალი საბადო. სასარგებლო წიაღისეულის საბადოების (მ. შ. მადნეულის საბადოს) წარმატებული ძიებისა და გეოლ.-საძიებო სამუშაოებში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისათვის 1971 მიენიჭა სოციალ. შრომის გმირის წოდება.

1973-იდან თ. იყო ნავთობის საკავშ. სამინისტროს ტრესტ „საქნავთობის" მმართველი, 1975–2004 – საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის" გენ. დირექტორი, დეპარტამენტ „საქნავთობის" თავმჯდომარე, სახელმწ. კომპანია „საქნავთობის" პრეზიდენტი.

თ. 1978–2002 იყო საქართვ. ნავთობის მრეწვ. სამეცნ.-ტექ. საზ-ბის უცვლელი თავ-რე. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2001).